# ქედის მუნიციპალიტეტი

ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული უსახური შენობების დემონტაჟის სამუშაოების შესყიდვის გამარტივებული ელექტრონული ტენდერი

## სატენდერო დოკუმენტაცია

2014 წელი

დაბა ქედა

## სარჩევი

1. ინფორმაციაია ტენდერში მონაწილეთათვის
2. ტექნიკური დოკუმენტაცი
3. ხელსეკრულების აუცილებელი პირობები.
4. დამატებითი ინფორმაცია
5. დანართი 1, აფიდავიტის საილუსტრაციო ფორმა
6. დანართი 2 .რეკვიზიტები

## 1. ინფორმაცია ტენდერში მონაწილეთათვის

**სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს დებულებისა და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების შესაბამისად. იხ. http://procurement.gov.ge/.**

1.1. წინადადების წარდგენის დროს პრეტენდენტმა პირველ რიგში სისტემაში უნდა ატვირთოს ტექნიკური დოკუმენტაცია„. ამასთან, სატენდერო წინადადების ფასი, არ უნდა აღემატებოდეს შესყიდვის სავარაუდო ღირებულებას, ან უნდა იყოს შესყიდვის სავარაუდო ღირებულებაზე სულ მცირე ერთი ბიჯით ნაკლები. ტექნიკური დოკუმენტაციის ატვირთვისა და წინადადების ფასის მითითების შემდეგ, დაუშვებელია ატვირთული ტექნიკური დოკუმენტაციის სისტემის მეშვეობით შეცვლა, გაუქმება ან წაშლა.

1.2. ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, რომელიც უნდა იქნას წარმოდგენილი სატენდერო განცხადებაში მითითებული სავარაუდო ღირებულების 1%–ის ოდენობით და მოქმედების ვადა უნდა შეესაბამებოდეს „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნებს. ტენდერში მონაწილეობის საფასური შეადგენს 50 ლარს.

1.3. წინადადებების წარმოდგენა შესაძლებელია მხოლოდ სისტემის მეშვეობით აფიდავიტის პირობებზე დათანხმების, ელექტრონული გარანტიის წარდგენისა და საფასურის გადახდის შემდეგ. სატენდერო წინადადება ძალაშია „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ჟ“, „რ“ ან „ტ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ეტაპის დადგომამდე.

## 2 ტექნიკური დოკუმენტაცია.

**2.1 შესყიდვის ობიექტი: ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული უსახური შენობების დემონტაჟი.**

**2.2ტექნიკური პირობები**

**2.2.1. სამუშაო ადგილის მომზადება, გარემოს დაცვა:**

მიმწოდებელი პასუხისმგებელია:

ა) შეასრულოს სამუშაოები შრომის უსაფრთხოების პირობების დაცვით;

ბ) უზრუნველყოს სამუშაო ადგილის ფარგლებში გარემოზე ეკოლოგიური ზემოქმედების მინიმუმამდე დაყვანა;

გ) ყველა სახის მოსამზადებელი სამუშაოების დაწყება შეთანხმებული უნდა იყოს ქედის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურთან

ვ) სამუშაოების დასრულების შემდეგ შემსრულებელი თავისი ძალებით და სახსრებით სამი დღის განმავლობაში ვალდებულია გაათავისუფლოს სამუშაო ადგილი სამშენებლო მოწყობილობა-დანადგარებისაგან, მასალებისაგან, დროებითი ნაგებობებისაგან და ა.შ;

ზ) სამუშაოების წარმოების პირობები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ წესებსა და ნორმებს.

**2.2.2. ნორმატიული დოკუმენტები**

მუშაობის პროცესში შემსრულებელი ვალდებულია სამუშაოები შეასრულოს მოქმედი სტანდარტების მიხედვით:

**3 ხელშეკრულების აუცილებელი პირობები:**

**3.1. გარანტია-დეფექტებზე პასუხისმგებლობის პერიოდი:**

ა) საგარანტიო პერიოდი შეადგენს 3 თვე სამუშაოების დასრულებიდან.

**.3.2 პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის:**

ა) ფორს-მაჟორული სიტუაციების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა და/ან დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.

- სამუშაოს შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში ყოველი დაგვიანებული დღისათვის მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0.1 პროცენტის ოდენობით.

ბ) იმ შემთხვევაში, თუ ვადის გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ფასის 5%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება;

გ) საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან;

**3.3 შესრულების ვადები და პირობები:**

ა) სამუშაოების შესრულების ვადაა ხელშეკრულების დადებიდან 2014 წლის 25 დეკემბრამდე.

**3.4 ანგარიშსწორების პირობები:**

ა) სატენდერო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

ბ) სატენდერო წინადადების საერთო და ერთეულის ფასი წარმოდგენილი უნდა იყოს ლარებში, ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით. საავანსო ანგარიშსწორება გათვალისწინებული არ არის.

გ) ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს დამადასტურებელი მიღების-ჩაბარების აქტისა და დღგ-ს ანგარიშ-ფაქტურის

წარმოდგენის შემდეგ 10 დღის განმავლობაში;

**3.5 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება**

ა) სამუშაოს მიღებას აწარმოებს ქედის მუნიციპალიტეტის მიერ შექმნილი შესაბამისი უფლებამოსილი კომისია.

ბ) სამუშაოს დასრულების ვადათ ითვლება შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ შექმნილი ინსპექტირების ჯგუფის მიერ სამუშაოს დასრულების დადასტურების დღე.

**3.6 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ:**

ა) ხელშეკრულების საბოლოო ვარიანტი დაზუსტდება ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში, გარდა სატენდერო დოკუმენტაციის მე-3 მუხლით განსაზღვრული მოთხოვნებისა.

5. **პრეტენდენტის მიერ ერთიან ელექტრონულ სისტემაში ასატვირთი მონაცემები:**

* რეკვიზიტები, დანართი №1-ის მიხედვით;
* ხარჯთაღრიცხვა დანართი №2-ის შესაბამისად;

შენიშვნა: სისტემაში ატვირთული დოკუმენტები ხელმოწერილი უნდა იყოს ხელმძღვანელის ან პრეტენდენტის უფლებამოსილი პირის მიერ შესაბამისი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის თანდართვით.

## 6. დამატებითი ინფორმაცია:

5.1 სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაციისა და განმარტებები მიღება პრეტენდენტს შეუძლია სატენდერო კომისიის აპარატში, წერილობითი მიმართვის შემთხვევაში, ან ტელეფონით. მისამართი: დ.ქედა, მ. კოსტავას ქუჩა №3, საკონტაქტო პირი: გივი დევაძე ტ-599851300

**დანართი №2**

**1. რეკვიზიტები:**

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:
ხელმძღვანელის სახელი და გვარი:
პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:
საიდენტიფიკაციო კოდი:
პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:
ელექტრონული მისამართი:
მომსახურე ბანკი
ბანკის კოდი:
ანგარიშსწორების ანგარიში: